ციფრული მმართველობა

წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგრძელებს საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის სულისკვეთებას, მაგრამ განსხვავებული აქცენტებითა და რიგი სიახლეებით. მემკვიდრეობითობის შენარჩუნების აუცილებლობა და, ამავდროულად, ახალი ფორმატისა თუ პრიორიტეტების განსაზღვრა განაპირობა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების, ციფრული ტექნოლოგიების პროგრესის თანამედროვე ტენდენციამ, ევროინტეგრაციის პროცესის გაღრმავებამ, მჭიდრო და ყოვლისმომცველმა თანამშრომლობამ საერთაშორისო და რეგიონულ ორგანიზაციებთან - ახალმა ფაქტორებმა, რომლებმაც, ბოლო დროს, თავი იჩინეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და გლობალური ხასიათი მიიღეს. სწორედ, ეს გახდა ამოსავალი პროგრამის შინაარსის, მიზნებისა და სწავლის შედეგების განსაზღვრისას; რაც პროგრამას უნიკალურს ხდის. უნიკალურობა გულისხმობს კურსდამთავრებულთა მომზადებას, არა მარტო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მასშტაბური ხედვით, არამედ მსოფლიოში მიმდინარე ტექნოლოგიური ტენდენციების ადეკვატური ანალიზის, შეფასებისა და, ამ კონტექსტში, ქვეყნისთვის ეფექტიანი მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების უნარით.

სწავლის პროცესში ინტეგრირებულია პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს თეორიული ცოდნის გაღრმავებას და პროფესიულ საქმიანობაში მისი ტრანსფორმირების უნარის გამომუშავებას, შესაბამისად, მაგისტრთა სრულყოფილ მომზადებას პრაქტიკული საქმიანობის დასაწყებად.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი საკუთარი მისიის განსაზღვრის მთავარ წყაროდ თვლის საზოგადოებრივი აქტივობის იმ ველებს, რომელიც ქვეყნის განვითარების რეალურმა კონტექსტმა ჩამოაყალიბა და დაკავშირებულია ცოდნის საზოგადოების განვითარების პროცესთან, იმ ცვლილებებთან, რომელიც სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების ამოქმედებით, კაცობრიობის ტექნოლოგიური პროგრესით არის გამოწვეული. საჯარო მმართველობისა და პოლიტიკის სკოლა, თავისი მისიის მთავარ მიმართულებად, სწორედ, უნივერსიტეტის მისიის განხორციელებაში უნიკალური წვლილის შეტანას თვლის, რაც გულისხმობს - მაღალკვალიფიციური საჯარო მოხელეთა კადრების მომზადებას თანამედროვე სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსის გამოყენებისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გზით.